კონსტიტუციის დარღვევაზე მართლმსაჯულების კონსტიტუციური კონტროლი (იმპიჩმენტი)

ნინო ნიშნიანიძე
სამართლის დოქტორი
E-mail: ninikо001@mail.ru

საპარლამენტო პროცედურის ჩარჩოებში, პოლიტიკური მოტივით, სხვადასხვა ქვეყნის კონსტიტუციები ითვალისწინებენ სახელმწიფოს მეთაურისა და სხვა უმაღლესი თანამდებობის პირების თანამდებობიდან გადაყენების განსხვავებულ საფუძვლებსა და პროცედურებს (პარლამენტის მიერ პრეზიდენტისათვის, პრემიერ-მინისტრისთვის, ცალკეული მინისტრებისთვის და ა.შ. უნდობლობის გამოხატვა, იმპიჩმენტი) ზოგადად, იმპიჩმენტი ინგლისური სიტყვაა (იმპეაცჰმენტ) და უნდობლობას ნიშნავს. თავის მხრივ, ეს ტერმინი კი ნაწარმოებია ლათინური სიტყვიდან „იმპედივი" (დაბრკოლება, წინააღმდეგობა) და მისი ცნების მოცულობის ქვეშ მაღალი თანამდებობის პირთა თანამდებობიდან გადაყენების განსაკუთრებული წესი იგულისხმება. იურიდიული ბუნებით იმპიჩმენტი, პოლიტიკური აქტად შეიძლება მივიჩნიოთ, რომლის დანიშნულება სწორედ, ქვეყნის უმაღლესი თანამდებობის პირების ხელისუფლების წყაროს - ხალხის წინაშე პოლიტიკური პასუხისმგებლობის გამორჩეულად მაღალი სტანდარტები გახლავთ, თავდაპირველად იმპიჩმენტის ინსტიტუტი XIV საუკუნის ბოლოს ინგლისში წარმოიშვა, ხოლო პირველად იმპიჩმენტის ცნების კონსტიტუციური რეგლამენტაცია, ამერიკის შეერთებული შტატების 1787 წლის კონსტიტუციაში გვხვდება, იმპიჩმენტი, როგორც დემოკრატიის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მექანიზმი დღეს მსოფლიოს თითქმის ყველა დემოკრატიული სახელმწიფოს კონსტიტუციაშია რეგლამენტირებული. უნდა აღინიშნოს, რომ თანამედროვე მსოფლიო, სხვადასხვა ქვეყანაში, იმპიჩმენტის განხორციელების სხვადასხვა მექანიზმს იცნობს, რომელთაგან შეიძლება გამოვყოთ შემდეგი:

მაგალითად, ბულგარეთში და იტალიაში, თანამდებობის პირის მიმართ იმპიჩმენტის საკითხი პარლამენტის მიერ აღიძვრება, ხოლო საბოლოო გადაწყვეტილებას უზენაესი სასამართლო იღებს, ამერიკის შეერთებულ შტატებში კონსტიტუციის დარღვევის, სახელმწიფო ღალატისა და სისხლის სამართლის სხვა დანაშაულისათვის, იმპიჩმენტის საკითხს აღძრავს და გადაწყვეტილებას იღებს პარლამენტი.

ავსტრიაში და რუმინეთში იმპიჩმენტის პროცედურა შემდეგნაირად ხორციელდება, იმპიჩმენტის საკითხს აღძრავს პარლამენტი, გადაწყვეტილება კი რეფერენდუმზე მიიღება. იმპიჩმენტის საინტერესო მოდელი გვხვდება საფრანგეთში, აქ საკითხს აღძრავს პარლამენტი, ხოლო საბოლოო გადაწყვეტილებას იღებს პარლამენტის მიერ შექმნილი სპეციალური კვაზი-სასამართლო ორგანო.

იშვიათად, მაგრამ მაინც გვხვდება ე.წ. „სახალხო" იმპიჩმენტიც. მაგალითად, ლიხტენშტეინში სახელმწიფოს მეთაურის მიმართ იმპიჩმენტის საკითხის ინიცირების უფლება აქვთ ამ ქვეყნის მოქალაქეებს ხოლო საკითხი რეფერენდუმის გზით წყდება[1].

უნდა აღვნიშნოს, რომ ზოგიერთი ქვეყნის კონსტიტუცია იმპიჩმენტის ცნებას საერთოდ არ იცნობს, ასეთი სახელმწიფოებია ჩრდილოეთ კორეა, ვიეტნამი, ალჟირი, ინდონეზია, უზბეკეთი, აგრეთვე ის სახელმწიფოები, სადაც მმართველობის ფორმაა აბსოლუტური მონარქია - ვატიკანი, საუდის არაბეთი, კატარი, ომანი და ა. შ.

ავსტრიაში, საბერძნეთში, რუმინეთში, პორტუგალიაში, სისხლის სამართლებრივი დევნის არსებობის პირობებში, იმპიჩმენტის პროცედურა საკონსტიტუციო სასამართლოში ამ კატეგორიის საქმეთა გადაცემამდე შეიძლება სასამართლოების მიერ უმაღლეს სასამართლო ინსტანციებშიც განხორციელდეს, მაგრამ იმპიჩმენტის ისეთი პროცედურაც არსებობს, რომელიც მხოლოდ საკონსტიტუციო კონტროლის განმახორციელებელი სასამართლო მექანიზმის საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ ხორციელდება. ასეთ შემთხვევაში სახელმწიფო უმაღლესი თანამდებობის პირების თანამდებობიდან გადაყენების პროცედურის დაწყება, საკონსტიტუციო სასამართლოს უფლებამოსილებას არ განეკუთვნება, არამედ ის პარლამენტის კომპეტენციას წარმოადგენს. საკონსტიტუციო სასამართლო თავისი

[1] საფრანგეთის რესპუბლიკის კონსტიტუცია, საზღვარგარეთის ქვეყნების კონსტიტუციები, ნაწილი II, შემდგენელთა ჯგუფის ხელმძღვანელი და პასუხისმგებელი რედაქტორი: ვასილ გონაშვილი. თბ., 2008.

გადაწყვეტილებით მხოლოდ კონსტიტუციის დარღვევის ფაქტს და ამ ფაქტის დარღვევის სიმძიმის ხარისხს ადგენს (საქართველო), რიგ სახელმწიფოებში საკონსტიტუციო სასამართლოები კონსტიტუციის დარღვევის ფაქტის უბრალო კონსტატაციით კი არ შემოიფარგლებიან, არამედ იძლევიან დასკვნას თანამდებობიდან გადასაყენებელი პირის თაობაზე. ასეთი პროცედურები გათვალისწინებულია საერთო იურისდიქციის სასამართლოს მოსამართლეების მიმართაც, სახელმწიფოს მეთაურის ბრალდების მიმართ საქმე განიხილება ავსტრიის, გერმანიის, ბულგარეთის, უნგრეთის, იტალიის, სლოვაკეთის საკონსტიტუციო სასამართლოების მიერ.

იმპიჩმენტის საინტერესო მოდელია საქართველოში, სადაც მოქმედი კანონმდებლობის მიხედვით, კონსტიტუციის გარდა, იმპიჩმენტთან დაკავშირებული საკითხები მოწესრიგებულია „იმპიჩმენტის შესახებ" ორგანული კანონით, რომელიც ახალი რედაქციით 2013 წლის 24 სექტემბერს იქნა მიღებული, სადაც დაწესებული ახალი საკანონმდებლო რეგულაციებით მართებულად გამარტივდა იმპიჩმენტის პროცედურა და ისეთი საკანონმდებლო აქტებით, როგორიცაა: „საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ" ორგანული კანონი, „საერთო სასამართლოების შესახებ" ორგანული კანონი, პარლამენტის რეგლამენტი და სხვა ნორმატიული აქტები.

საქართველოს კონსტიტუციის მიხედვით, იმპიჩმენტის სუბიექტთა წრე არც ისე ფართოა, ის მხოლოდ საქართველოს პრეზიდენტზე,

საქართველოს მთავრობის წევრებზე (პრემიერ-მინისტრი, მინისტრები, სახელმწიფო მინისტრები) საქართველოს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარეზე, სახელმწიფო აუდიტის სამსახურის გენერალურ აუდიტორზე, საქართველოს ეროვნული ბანკის საბჭოს წევრებზე ვრცელდება, იმპიჩმენტის საკითხის აღძვრის უფლება საქართველოს პარლამენტის სრული შემადგენლობის არანაკლებ ერთ მესამედს გააჩნია, ხოლო პარლამენტის დროებით საგამოძიებო კომისიას თავისი კომპეტენციის ფარგლებში აქვს იმპიჩმენტის საკითხის დასმის უფლებამოსილება[2].

იმპიჩმენტის პროცედურის დაწყების საფუძველს დეპუტატთა წერილობითი მოთხოვნა წარმოადგენს, რომელიც სათანადო მასალებზე დაყრდნობით ჯეროვნად უნდა დასაბუთებული, ხოლო კონკრეტული ბრალდების სახე, შინაარსი და არგუმენტაცია მკაფიოდ და გარკვევით უნდა იქნას ჩამოყალიბებული. თანამდებობის პირის მიმართ იმპიჩმენტის წესით თანამდებობიდან გადაყენების საკითხის აღძვრიდან შვიდი დღის განმავლობაში საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს იმპიჩმენტის სუბიექტი თანამდებობის პირის მიერ კონსტიტუციის დარღვევისა ან მის ქმედებაში დანაშაულის შემადგენლობის ნიშნების არსებობის ან არ არსებობის დადასტურების შესახებ დასკვნისათვის უნდა გადაეგზავნოს კონსტიტუციური წარდგინება, რომელიც ვალდებულია კონსტიტუციური წარდგინების მიღებიდან 30 დღის ვადაში განიხილოს იმპიჩმენტის საკითხი და თანამდებობის პირის ქმედებაზე თანამდებობის პირის მიერ კონსტიტუციის დარღვევისა ან მის ქმედებაში დანაშაულის შემადგენლობის ნიშნების არსებობის შესახებ და პარლამენტს წარუდგენს სათანადო დასკვნა, აქ უნდა აღვნიშნოთ შემდეგი სამართლებრივი რეგლამენტაცია, რომ თუ საკონსტიტუციო სასამართლოში საკითხის განხილვის დასრულებამდე თანამდებობის პირი გადადგა ან გაათავისუფლეს თანამდებობიდან ასეთ შემთხვევაში იმპიჩმენტის პროცედურა შეწყდება (მაგალითად, ეს 1974 წელს მოხდა, ე. წ. „უოტერგეიტის საქმის" გამო, როდესაც ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტს რ. ნიქსონს დაემუქრა იმპიჩმენტის საფრთხე ის თანამდებობიდან გადადგა).

იმპიჩმენტის პროცედურა წყდება იმ შემთხვევაშიც თუ საკონსტიტუციო სასამართლოს დასკვნით არ დადასტურდა იმპიჩმენტის საკითხის სუბიექტის მხრიდან საქართველოს კონსტიტუციის დარღვევა ან მის ქმედებაში დანაშაულის შემადგენლობის ნიშნების არსებობა. საქართველოს პარლამენტი საკონსტიტუციო სასამართლოს დასკვნის მიღებიდან არაუგვიანეს თხუთმეტი დღისა განიხილავს და კენჭს უყრის თანამდებობის პირის იმპიჩმენტის წესით გადაყენების საკითხს, იმ შემთხვევაში, თუ საკონსტიტუციო სასამართლოს დასკვნის მიღების დროს მიმდინარეობს პარლამენტის მორიგი ან რიგგარეშე სესია, არაუგვიანეს მეხუთე კალენდარული დღისა პარლამენტი იღებს დადგენილებას საკონსტიტუციო სასამართლოს დასკვნის განხილვის და კენჭისყრის თაობაზე, ხოლო თუ საკონსტიტუციო სასამართლოს დასკვნის მიღების მომენტში პარლამენტის მორიგი ან რიგგარეშე სესია არ მიმდინარეობს, ასეთ შემთხვევაში პარლამენტის თავმჯდომარე 24 საათის განმავლობაში წარუდგენს საქართველოს პრეზიდენტს წარუდგენს მოთხოვნას პარლამენტის რიგგარეშე სესიის მოწვევის თაობაზე.

საქართველოს პრეზიდენტი იმპიჩმენტის წესით თანამდებობიდან გადაყენებულად ჩაითვლება, თუ ამ გადაწყვეტილებას მხარს დაუჭერს

[2] საქართველოს კონსტიტუცია (ცვლილებებითა და დამატებებით, 2004 წლის 7 თებერვლის მდგომარეობით). თბ., 2004.

პარლამენტის სრული შემადგენლობის არანაკლებ ორი მესამედი (ანუ 100 ან უფრო მეტი დეპუტატი). დაუშვებელია საქართველოს პრეზიდენტისათვის წარდგენილი ბრალდების პარლამენტის მიერ განხილვა ან გადაწყვეტილების მიღება საგანგებო ან საომარი მდგომარეობის დროს. ასეთ შემთხვევაში პარლამენტი საქართველოს პრეზიდენტისათვის წარდგენილ ბრალდებას საგანგებო ან საომარი მდგომარეობის გაუქმების შემდეგ, უახლოეს (მორიგ ან რიგგარეშე) სესიის პირველსავე სხდომაზე განიხილავს.

პარლამენტის მიერ პრეზიდენტის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის შესახებ გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში, „საქართველოს საარჩევნო კოდექსი"-ს ორგანული კანონით დადგენილი წესის შესაბამისად 45 დღის განმავლობაში ინიშნება საქართველოს პრეზიდენტის რიგგარეშე არჩევნები, რაც შეეხება კონსტიტუციითა და კანონით გათვალისწინებულ სხვა თანამდებობის პირებს (საქართველოს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარეს, საქართველოს მთავრობის წევრს, სახელმწიფო აუდიტის სამსახურის გენერალური აუდიტორს, საქართველოს ეროვნული ბანკის საბჭოს წევრს, ისინი იმპიჩმენტის წესით თანამდებობიდან გადაყენებულად ჩაითვლებიან, თუ ამ გადაწყვეტილებას მხარს დაუჭერს პარლამენტის სრული შემადგენლობის უმრავლესობა (76 ან მეტი დეპუტატი). პარლამენტში, თანამდებობის პირის მიმართ იმპიჩმენტის წესით თანამდებობის პირის გადაყენების საკითხის განხილვაში პარლამენტის მოწვევით შეიძლება მონაწილეობდეს იმპიჩმენტის სუბიექტი თანამდებობის პირი ან მისი წარმომადგენელი. იმ შემთხვევაში, თუ საკონსტიტუციო სასამართლოს დასკვნის მიღებიდან 15 დღის განმავლობაში პარლამენტი ვერ მიიღებს გადაწყვეტილებას ან ამ თანამდებობის პირის იმპიჩმენტის წესით თანამდებობიდან გადაყენებას მხარს არ დაუჭერს პარლამენტის წევრთა კანონით დადგენილი რაოდენობა, იმპიჩმენტის საკითხი მოხსნილად ჩაითვლება და აღნიშნული თანამდებობის პირისათვის იმავე ბრალდების წარდგენა დაუშვებელია.

პარლამენტის მიერ იმპიჩმენტის წესით თანამდებობიდან გადაყენებული თანამდებობის პირი ავტომატურად კარგავს კანონით მინიჭებულ იმუნიტეტს და მისი პასუხისმგებლობის საკითხი გადაწყდება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

როგორც აღვნიშნეთ საქართველოს კანონმდებლობა, თანამდებობის პირის იმპიჩმენტის წესით გადაყენების საკითხის აღძვრის ორგვარ საფუძველს იცნობს: საქართველოს კონსტიტუციის დარღვევასა და სისხლის სამართლის დანაშაულის ჩადენას, რა დროსაც მხოლოდ საკონსტიტუციო სასამართლოს შესაბამისი გადაწყვეტილების მიღება იძლევა პარლამენტის მიერ იმპიჩმენტის წესით პრეზიდენტის გადაყენების საკითხის კენჭისყრაზე დასმის სამართლებრივ საფუძველს, რაც შეეხება სხვა უმაღლესი თანამდებობის პირებს, როგორიცაა პარლამენტის თავმჯდომარე და პარლამენტის სხვა თანამდებობის პირები, საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარე და წევრები, უზენაესი სასამართლოს მოსამართლეები, მთავარი პროკურორი და ა.შ. მათი თანამდებობიდან გადაყენება (ან უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტა) ხორციელდება არა იმპიჩმენტის პროცედურით, არამედ სპეციალური კანონებით განსაზღვრული წესით.

იტალიის საკონსტიტუციო სასამართლო აგრეთვე განიხილავს მინისტრების მიმართ კონსტიტუციის დარღვევის ბრალდებას, ავსტრიაში – თანამდებობის პირების (პრეზიდენტის გარდა), მათ შორის ფედერალური მთავრობის წევრებისა და პასუხისმგებლობასთან მიმართებაში მასთან გათანაბრებული ორგანოების, მიწების, მთავრობის და პასუხისმგებლობასთან მიმართებაში მასთან გათანაბრებული ორგანოების წევრთა, მიწების გუბერნატორებისა და მათი მოადგილეების, მიწების მთავრობის წევრთა, ავსტრიის დედაქალაქ – ვენის ორგანოების, მიწების პრეზიდენტების და მიწების სასკოლო საბჭოების პრეზიდენტების ვალდებულების შემსრულებელთა წინააღმდეგ კონსტიტუციის დარღვევის ფაქტებს. გარდა ამისა, აღმასრულებელი ხელისუფლების ორგანოების ჩამოთვლილი კატეგორიები პასუხს აგებენ საკონსტიტუციო სასამართლოს წინაშე ფედერალური კანონქვემდებარე ნორმატიული აქტებისა და გუბერნატორების აქტების შეუსრულებლობისთვის. ყველა ჩამოთვლილი თანამდებობის პირის წინააღმდეგ, რესპუბლიკის პრეზიდენტის ჩათვლით, მითითებული საფუძვლების გარდა, ბრალდება საკონსტიტუციო სასამართლოში შეიძლება აღძრულ იქნეს ისეთი ქმედებების ჩადენასთან დაკავშირებით, რომლებიც დაკავშირებულნი არიან მათ ოფიციალურ საქმიანობასთან და დასჯადია სისხლის სამართლის წესით.

გერმანიაში გერმანიის საკონსტიტუციო სასამართლო განიხილავს საქმეებს რესპუბლიკის პრეზიდენტის მიმართ, რომლებიც დაკავშირებულნი არიან მათ მიერ ძირითადი კანონის ან სხვა ფედერალური კანონის დარღვევის ბრალდებასთან. ფედერალური საკონსტიტუციო სასამართლო ბუნდესტაგის შუამდგომლობით აგრეთვე განიხილავს და გადაწყვეტს მიწების ფედერალური სასამართლოების მოსამართლეების წინააღმდეგ ბრალდების საქმეებს. ფედერალურ საკონსტიტუციო სასამართლოს გააჩნია ფედერალური სასამართლოებისა და მიწების სასამართლოების მოსამართლეებ-

ის თანამდებობიდან გადაყენების შესახებ განკარგულების მიღების უფლებამოსილება[3].

თურქეთის რესპუბლიკის საკონსტიტუციო სასამართლო უმაღლესი ინსტანციის სასამართლოს სტატუსით განიხილავს და გადაწყვეტს საქმეებს თანამდებობრივი დანაშაულების შესახებ, რომლებიც ჩადენილი იქნა უმაღლესი თანამდებობის პირების – რესპუბლიკის პრეზიდენტის, მინისტრთა საბჭოს წევრების, საკონსტიტუციო სასამართლოს მოსამართლეების, საკასაციო სასამართლოს მოსამართლეების, სახელმწიფო საბჭოს წევრების, სამხედრო საკასაციო სასამართლოს, უმაღლესი სამხედრო ადმინისტრაციული ტრიბუნალის, მოსამართლეთა უმაღლესი საბჭოს, აგრეთვე, გენერალური პროკურორისა და მისი მოადგილეების მიერ.

სომხეთის საკონსტიტუციო სასამართლოს გააჩნია რესპუბლიკის პრეზიდენტის ღალატის ან სხვა მძიმე დანაშაულის შემთხვევაში თანამდებობიდან გადაყენების თაობაზე დასკვნის გაცემის უფლებამოსილება. ასეთ შემთხვევაში საკონსტიტუციო სასამართლოს მიმართავს ეროვნული კრება დეპუტატთა საერთო რაოდენობის უმრავლესობით, ხოლო საკონსტიტუციო სასამართლოს დასკვნის საფუძველზე ეროვნული კრების დეპუტატთა საერთო რაოდენობის არანაკლებ ორი მესამედი უფლებამოსილია თანამდებობიდან გადაყენოს რესპუბლიკის პრეზიდენტი[4].

ბულგარეთის საკონსტიტუციო სასამართლოს გააჩნია გადაწყვეტილების მიღების უფლებამოსილება სახალხო კრების მიერ პრეზიდენტის და ვიცე-პრეზიდენტის მიმართ წაყენებულ ბრალდებების თაობაზე. საკონსტიტუციო სასამართლო მიმართვიდან ერთი თვის ვადაში განიხილავს და გადაწყვეტს პრეზიდენტის ან ვიცე-პრეზიდენტის მიმართ წაყენებულ ბრალდებების კანონიერების საკითხს. იმ შემთხვევაში, თუ პრეზიდენტის ან ვიცე-პრეზიდენტის მიერ სახელმწიფო ღალატის ან კონსტიტუციის დარღვევის ფაქტი დადგინდება, მაშინ საკონსტიტუციო სასამართლოს კომპეტენციაა, თავისი აქტით შეუწყვიტოს იმპიჩმენტის სუბიექტს თანამდებობრივი უფლებამოსილება.

სლოვაკეთში, პრეზიდენტის მიმართ სამართლებრივი დევნის აღძვრა შესაძლებელია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მან ჩაიდინა სახელმწიფო ღალატი. პრეზიდენტის მიმართ ბრალდების აღძვრის უფლება გააჩნია ეროვნულ საბჭოს. ხოლო ბრალდების კანონიერებაზე და დასაბუთებულობაზე გადაწყვეტილების მიღების უფლებამოსილება გააჩნია სლოვაკეთის საკონსტიტუციო სასამართლოს.

ჩეხეთის რესპუბლიკის პრეზიდენტის მიმართ სამართლებრივი დევნა აღიძვრება მის მიერ სახელმწიფო ღალატის შემთხვევაში საკონსტიტუციო სასამართლოში, სენატის აქტის საფუძველზე. ჩეხეთის საკონსტიტუციო სასამართლოს გააჩნია პრეზიდენტის თანამდებობიდან გადაყენების უფლებამოსილება.

უნგრეთის რესპუბლიკის პრეზიდენტის მიერ კონსტიტუციის ან ნებისმიერი სხვა კანონის დარღვევის შემთხვევაში, სახელმწიფო კრება განიხილავს და გადაწყვეტს პრეზიდენტის პასუხისგებაში მიცემის საკითხს.

უნგრეთის პრეზიდენტის მიერ კონსტიტუციის ან ნებისმიერი სხვა კანონის დარღვევის ფაქტის დადგენა წარმოადგენს უნგრეთის საკონსტიტუციო სასამართლოს კომპეტენციას, რომელსაც გააჩნია პრეზიდენტის თანამდებობიდან გადაყენების უფლებამოსილება.

რუსეთში პრეზიდენტის თანამდებობის გადაყენების (იმპიჩმენტი) წესი და საფუძვლები გათვალისწინებულია რუსეთის ფედერაციის კონსტიტუციის 93-ე მუხლით. პრეზიდენტს სახელმწიფო ღალატის ან მის მიერ ჩადენილი სხვა მძიმე დანაშაულის ბრალდებას უყენებს სახელმწიფო დუმა. პრეზიდენტის მოქმედებებში დანაშაულის ნიშნების - სახელმწიფო ღალატის ან სხვა მძიმე დანაშაულის არსებობის დამადასტურებელ დასკვნას იძლევა რუსეთის ფედერაციის უზენაესი სასამართლო. გადაწყვეტილებას რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტის თანამდებობიდან გადაყენების შესახებ ღებულობს ფედერაციის საბჭო. რუსეთის ფედერაციის კონსტიტუცია სახელმწიფოს სხვა უმაღლესი თანამდებობის პირების იმპიჩმენტის წესით თანამდებობიდან გადაყენებას არ ითვალისწინებს. უმაღლესი თანამდებობის პირის პასუხისმგებლობის რეალიზაციის განსაკუთრებული პროცედურა, რომლის შედეგია საბოლოოდ თანამდებობიდან გადაყენება[5].

დაბოლოს, შეიძლება ითქვას, რომ იმპიჩმენტი ეს არის პოლიტიკური აქტი, რომლის დანიშნულებაა ქვეყნის უმაღლესი თანამდებობის პირების პოლიტიკური პასუხისმგებლობა, რომლებიც საერთო სასამართლოების სისხლისამართლებრივი იურისდიქციისაგან იმუნიტეტით სარგებლობენ.

[3] გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ძირითადი კანონი, საზღვარგარეთის ქვეყნების კონსტიტუციები, ნაწილი III, შემდგენელთა ჯგუფის ხელმძ. და პასუხისმგებელი რედ.: ვასილ გონაშვილი, თბ., 2006.

[4] სომხეთის რესპუბლიკის კონსტიტუცია, საზღვარგარეთის ქვეყნების კონსტიტუციები, ნაწილი I, შემდგენელთა ჯგუფის ხელმძღვანელი და პასუხისმგებელი რედაქტორი: ვასილ გონაშვილი. თბ., 2008.

[5] რუსეთის ფედერაციის კონსტიტუცია, საზღვარგარეთის ქვეყნების კონსტიტუციები, ნაწილი I (მეორე გადამუშავებული გამოცემა), შემდგენელთა ჯგუფის ხელმძ. და პასუხისმგებელი რედ.: ვასილ გონაშვილი, თბილისი 2008.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. S. Khmelko and Werner J. Patzelt, Legislative Institutionalization in the Context of Democratic Transition and Consolidation. Journal of East European and Asian Studies. Special Issue: Democratic Institutionalism. February 2011.

2. http://heinonlain.org, Margit Tavits, Presidents with Prime Ministers, Do Direct Elections Matter? OXFORD university press 2008.

3. Susan Rose-Ackerman, The Regulatory State. The Oxford Handbook of Comparative Constitutional Law, Edited by Mishel Rosenfeld and Andras Sajo. Oxford University Press 2012.

4. konstituciuri sistemebi da konstituciuri procesi saqarTveloSi (1995-2009 w.w.), misi ganviTarebis perspeqtiva, v. xmalaZis saerTo redaqciiT.

5. Gerald Gunter, Wiliam Nelson Cromwell. Constitutional law. Twelfth edition. Stanford University 1991.

6. http://bibliotecadigital.fgv.br/ojs/index.

7. Проблемы общей теории права и государства. Под ред. Нерсесянца В.С. М.: Норма, 1999.

8. გიორგი კახიანი, საკონსტიტუციო კონტროლის ინსტიტუტი და მისიფუნქციონირების პრობლემები საქართველოში: კანონმდებლობის და პრაქტიკის ანალიზი, სადისერტაციო ნაშრომი. სამეცნიერო ხელმძღვანელი ავთანდილ დემეტრაშვილი. ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, იურიდიული ფაკულტეტი. თბილისი 2008.

9. ოთარ მელქაძე, ბექა დვალი, საკონსტიტუციო სასამართლოების ფორმირების წესი და საპროცესო თავისებურებები, ჟურნალი: ადამიანი და კონსტიტუცია, თბილისი 2001

10. ქენეთ ჯანდა, ჯეფრი მ. ბერი, ჯერი გოლდმანი, ამერიკული დემოკრატია: აშშ ხელისუფლება და პოლიტიკური პროცესი, ინგლისურიდან თარგმნა რევაზ გაჩეჩილაძემ, თარგმანის რედაქტორი მინდია უგრეხელიძე. გამომ. „ჯისიაი", თბ., 1995.

11. საქართველოს კონსტიტუცია (ცვლილებებითა და დამატებებით, 2004 წლის 7 თებერვლის მდგომარეობით). თბ., 2004.

12. სომხეთის რესპუბლიკის კონსტიტუცია, საზღვარგარეთის ქვეყნების კონსტიტუციები, ნაწილი I, შემდგენელთა ჯგუფის ხელმძღვანელი და პასუხისმგებელი რედაქტორი: ვასილ გონაშვილი. თბ., 2008.

13. საქართველოს 1995 წლის 24 აგვისტოს კონსტიტუცია (ახალი რედაქცია). გვ. 27. https://matsne.gov.ge, უკანასკნელად იქნა გადამოწმებული - 27.10.2014.

14. რუსეთის ფედერაციის კონსტიტუცია, საზღვარგარეთის ქვეყნების კონსტიტუციები, ნაწილი I (მეორე გადამუშავებული გამოცემა), შემდგენელთა ჯგუფის ხელმძ. და პასუხისმგებელი რედ.: ვასილ გონაშვილი, თბილისი 2008.

15. გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ძირითადი კანონი, საზღვარგარეთის ქვეყნების კონსტიტუციები, ნაწილი III, შემდგენელთა ჯგუფის ხელმძ. და პასუხისმგებელი რედ.: ვასილ გონაშვილი, თბ., 2006.

16. „ნორმატიული აქტების შესახებ" საქართველოს კანონი. გვ. 14

17. ჩეხეთის რესპუბლიკის კონსტიტუცუია, საზღვარგარეთის ქვეყნების კონსტიტუციები, ნაწილი I (მეორე გადამუშავებული გამოცემა), შემდგენელთა ჯგუფის ხელმძ. და პასუხისმგებელი რედ.: ვასილ გონაშვილი, თბილისი 2008.

JUDICIARY CONSTITUTIONAL CONTROL OVER VIOLATION OF THE CONSTITUTION (IMPEACHMENT)

NINO NISHNIANIDZE - Doctor of Law

Summary

Constitutions of various countries provide with different grounds and procedures for dismissing the Heads of State and other senior officials for political reasons within the framework of parliamentary procedure (expression of non-confidence to the Prime Minister, individual ministers by the Parliament etc.); the mentioned is carried out on the basis of criminal prosecution by the ordinary courts, with the possibility of transmission of this category of cases to the higher instances including Constitutional Court (Austria, Greece, Romania, Portugal). In France the President is responsible under the impeachment for high treason before the Higher Chamber of Justice; also, there is an impeachment procedure, which is performed by the Constitutional Court - the judiciary mechanism exercising the Constitutional control; it should be mentioned that initiation of proceedings related to dismissing the highest-ranking official falls under the competence of not the Constitutional Court, but the Parliament. The Constitutional Court by its decision establishes only the fact of violation of the Constitution and the severity of this violation.